ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 36916 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.33.019.135) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმისთვის“ (ს/კ.: N404984497) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის N355 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და საიჯარო პირობის დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის“ (ს/კ.: 404984497) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2016 წელს, საფეხბურთო კლუბს იჯარით გადაეცა სამგორის რაიონში მდებარე 36000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, სტადიონების და სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. თუმცა, უსახსრობის გამო, ვერ მოხერხდა ვერც პროექტის განხორციელება და ვერც იჯარის გადახდა. აფხაზეთის მთავრობისგან შემოთავაზებულია წინადადება, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ზემოთ ხსენებული პროექტის განხორციელებას და სხვა სპორტული მიმართულებების განვითარებას. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია იჯარის თანხის სიმბოლურ ფასამდე ჩამოყვანა და შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმისთვის“ პირგასამტეხლოს პატიება, რის შედეგადაც მიწის ნაკვეთი დაუბრუნდება მუნიციპალიტეტს, ხოლო შემდგომ, მხოლოდ და მხოლოდ სპორტული მიმართულებით განვითარების მიზნით, გრძელვადიანი სარგებლობის უფლებით, გადაეცემა აფხაზეთის მთავრობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N46-ში მდებარე უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომელზეც ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა 2, ახალი გენ.გეგმით მიენიჭა სატრანსპორტო ზონა 1, რაც კომპანიას აღარ აძლევს რაიმე ტიპის განვითარების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთებს შორის ფასთა სხვაობას - 247000 ლარს, კომპანია დაფარავს, ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტბემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილების მიზანია განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე ტერიტორიის უზრუნველყოფა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. პრაქტიკამ ცხადყო, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია გაწერილი იქნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ტროტუარებისა და გზების პარამეტრები. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების ეტაპზე, გათვალისწინებული უნდა იქნას ტროტუარებისა და გზების სიგრძე და სიგანე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1 (ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

26. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტბემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წინადადებები წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-03203351-03 თარიღი: 30.11.2020, N12-032033526-03 თარიღი: 30.11.2020 და N12-032033833-03 თარიღი: 03.12.2020, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და შესაბამისად, განსახილველად უნდა გადაიდოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-03203351-03 წერილით წარმოდგენილი მე-10 პოზიცია, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1 (ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N194-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2. საპროექტო წინადადებით, მიწის ნაკვეთის დიდი ნაწილი დაეთმობა გამწვანებულ სივრცეებს, ავტოსადგომები მოეწყობა მიწისქვეშა დახურულ სივრცეში და ასევე, განთავსდება ორი შენობა-ნაგებობა, რომელთა სართულიანობა იქნება 23-25 სართული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

28. „ქალაქ თბილისში, ჭრელაშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ, ქ. წამებულის გამზირის N65-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (ნაკვ. 038/017; 038/018) (საკადასტრო კოდები: N01.17.13.038.049; N01.17.13.038.040, N01.17.13.038.042) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართობი 18000 კვ.მ., სადაც არსებული ზონირების ფარგლებში, დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანება, სადაც ტერიტორიის 25% დაეთმობა საცხოვრებელ, ხოლო 75% კომერციულ და საოფისე ფართებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

29. „ქალაქ თბილისში, გლდანი მუხიანისკენ მიმავალ გზაზე, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, ბაზრობის მიმდებარედ წყალკანალთან; ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩისა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ხევძმარის ქუჩა N1 მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.13.022.187; N01.11.13.002.168; N01.11.13.002.190; N01.11.13.001.080; N01.11.13.002.188) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართობი 14000 კვ.მ. დაგეგმილია ტერიტორიის განვითარება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის ფარგლებში, სადაც განთავსდება ორი მალლივი შენობა, რომელთა მაქსიმალური სიმაღლე იქნება 29 სართული. აღსანიშნავია, რომ განაშენიანების 75% დაეთმობა საცხოვრებელ ფართს, ხოლო 25% დაიტვირთება კომერციული და ავტოსადგომების ფუნქციით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

30. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.01.770; N81.02.95.412) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 12800 კვ.მ. დაგეგმილია არსებული ორი მიწის ნაკვეთის გამიჯვნა 15 ნაკვეთად და საცხოვრებელი ზონა 1-ის ფარგლებში განვითარება, სადაც შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე იქნება 15 მეტრი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ შაქარიშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

31. „ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, III მიკრო/რაიონში; დიდი დიღმის დასახლება, II და III მიკრო/რაიონს შორის; დიდ დიღომში, I და III მიკრო/რაიონს შორის; ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N52-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.08.006.651; N01.10.08.006.641; N01.10.08.006.642; N01.10.08.006.040; N01.10.08.006.041; N01.10.08.006.042; N01.10.08.006.043; N01.10.08.006.044; N01.10.08.006.045; N01.10.08.006.046; N01.10.08.006.048; N01.10.08.006.047; N01.10.08.006.049; N01.10.08.006.050; N01.10.08.006.051; N01.10.08.006.061; N01.10.08.006.052; N01.10.08.006.053; N01.10.08.006.054; N01.10.08.006.055; N01.10.08.006.056; N01.10.08.006.057; N01.10.08.006.058; N01.10.08.006.059; N01.10.08.006.060) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 24170 კვ.მ., რომლის მესაკუთრეების ნაწილს წარმოადგენენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები. შემოთავაზებული წინადადებით, დაგეგმილია ტერიტორიის განვითარება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ რეკომენდებული სქემით, რომლის ფარგლებში თვითმმართველს დარჩება დაახლოებით ერთ ჰექტრამდე გამწვანებული ტერიტორია, სკვერი და სტადიონი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

32. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა N58, N 56, N54, N52, N50-სა და შუა მინდვრის ქუჩა N74-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.033; N72.16.27.061; N72.16.27.105; N72.16.27.104; N72.16.27.106; N72.16.09.566) ინდივიდუალური

ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმემ და განმარტა, რომ საპროექტო წინადადებით, საცხოვრებელი ზონა 1-ის ფარგლებში, დაგეგმილია 14 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სადაც შენობების მაქსიმალური სიმაღლე იქნება 15 მეტრი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ შაქარიშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

33. „ქალაქ თბილისის, გურამიშვილის გამზირის N64-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვეთი: N005/056, N5/60, N5/51) (საკადასტრო კოდები: N01.12.01.005.091, N01.12.01.005.129, N01.12.01.005.051) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 24000 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის ფარგლებში, დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის ტიპის სამი შენობა-ნაგებობის განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

34. „ქალაქ თბილისში, ტაშკენტის ქუჩის ბოლოს (ნაკვ. 06/044); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.254) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რომელიც მოიცავს კომერციულ, სავაჭრო და საოფისე სივრცეებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

35. „ქალაქ თბილისში, ლეო კვაჭაძის მე-2 შესახვევი N11; სოფელი თხინვალა; ქალაქი თბილისი, ლისზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.924; N72.16.23.925; N72.16.15.339; N72.16.23.983; N72.16.18.296; N72.16.23.984) და მიმდებარედ უფლებდაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია სარეკრეაციო ზონა 3-ის ფარგლებში, ერთბიანი, სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, სადაც შენობების მაქსიმალური სიმაღლე იქნება 12 მეტრი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ შაქარიშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

36. „ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N2/6; ქალაქი თბილისი, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის, ნაკვეთი 09/024-ზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.009.042) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ საპროექტო წინადადებით, დაგეგმილია სამი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განსაყვება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

37. „ქალაქ თბილისში, მუხიანსა და ზღვის უბანს შორის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს, გობრონიძის ქუჩა N27-ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.17.005.048; N01.11.17.005.085; N01.11.17.005.087; N01.11.17.005.081; N01.11.17.005.115; N01.11.17.005.025; N01.11.17.005.109) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართობი 35517 კვ.მ. ტერიტორიაზე, ქუჩის მხარეს, დაგეგმილია ოთხი მაღლივი კორპუსის განთავსება, რომელთა სართულიანობა მერყეობს 13-დან 14 სართულამდე, ხოლო ტერიტორიის უკანა მხარეს გათვალისწინებულია საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომლის სართულიანობა იქნება 2 ან 4 სართული.

ვახტანგ შაქარიშვილმა ისაუბრა ქალაქის ურბანულ განვითარებაზე და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის

პროექტებიდან ორი საკითხი ეხება კომპანიას „არქი“, რომელიც ეკუთვნის ქართული ოცნების დეპუტატს, კახა კალამის მეგობარ ილია წულაიას მათ შორის ერთ-ერთი საკითხი არის სწორედ წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ განხორციელებული კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის შედეგია. მაშინ მუნიციპალიტეტმა განახორციელა კრწანისში მდებარე, ბექა ოდიშარას საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა მუხიანში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 35000 კვ მ მიწის ნაკვეთში. მისი თქმით, ხსენებული მონაცვლეობისას, მოხდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ხელოვნური გაძვირება და ამავდროულად, არასამართლიანად შეფასდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომლის ფასიც დღეს გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს იყო თავდაპირველად და რომელზეც რამდენიმე ათეულწილით მილიონი ლარის ღირებულების უმსხვილეს პროექტს ახორციელებს კომპანია „არქი“. ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, უნდა დასრულდეს პრევილენციის მინიჭება სხვადასხვა მთავრობასთან დაახლოებული ე.წ. დეველოპერებისთვის, რომლებიც მშენებლობის ნაცვლად, ანგრევენ ქალაქს, უნდა დასრულდეს მათთვის „ჩალის ფასად“ თბილისელების ქონების გადაცემა, რისი საშუალებითაც არაკეთილსინდისიერად შოულობენ ძალიან დიდ თანხებს. ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ „ჩვენ ბიზნესის, განვითარების, მშენებლობის წინააღმდეგი არ ვართ, ჩვენ ვართ სწორი ურბანული გადაწყვეტილებების მომხრე, ჩვენ ვართ ქალაქის ქონების სამართლიანი და ეფექტური განკარგვის მომხრე და არა კონკრეტული არაკეთილსინდისიერი, სავარაუდო კორუფციულ სქემებში გარეული ადამიანებისთვის სასათბურე პირობების შექმნის მომხრე“ და თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, მხარი არ დაუჭირონ არც წარმოდგენილ საკითხს და არც ნადიკვარის ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცებას.

ჯაბა ჯიშკარიანი წარმოდგენილ საკითხზე განაცხადა, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით კომპანიას „არქი“ აძლევენ 4.6 კოეფიციენტს. მისი თქმით, როდესაც ქალაქის მერი საკრებულოს წარუდგენს თხზილის ბიუჯეტის პროექტს, მას ექნება კახა კალამისთან შემდეგი კითხვები: რატომ არის პრიორიტეტული კომპანია „არქი“ და რატომ იჩაგრებიან სხვა კომპანიები; რატომ არ აძლევთ მსგავს ნებართვას სხვა კომპანიებს და დეველოპერებს; რას აკეთებს მერიაში არსებული ურბანული კომისია; რატომ არ აძლევთ სხვა კომპანიებს საშუალებას ააშენონ მომატებული კოეფიციენტი; აკმაყოფილებენ თუ არა კოეფიციენტების მომატებასთან დაკავშირებით არსებულ წესებს ის კომპანიები, რომლებსაც კოეფიციენტებთან დაკავშირებით აქვთ პრიორიტეტები. გასაცხადა, რომ ქალაქის მერთან ასევე ექნება ბევრი სხვა ისეთი კითხვა, რომელიც დაგროვდა წლების განმავლობაში და რადგან კახა კალამი გააუქმა მოქალაქეების მიღების საათები, „ჩვენ ვიქნებით საზოგადოებასა და მერს შორის მედიატორები და ასევე, წამოვჭრით ყველა იმ პრობლემას, რომელიც აწუხებთ სხვა დეველოპერებს და იმ ადამიანებს, რომლებსაც ფანჯრის გამოჭრის უფლებას არ აძლევენ“.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ მრავალფუნქციური და მრავალსართულიანი სახლების მშენებლობის პროექტების დამტკიცებისას, ყურადღება უნდა მიექცეს დედაქალაქის იერსახეს. დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ წინა ხელისუფლების არასწორ პოლიტიკას განაშენიანების და ტენდერებში ნაცნობობით გამარჯვების კუთხით, თუმცა, იგივეს აგრძელებს „კალამის ქალაქის მერია“. მისი თქმით, თბილისში, არც ერთი მრავალსართულიანი სახლის სეისმომდებლობა არ არის განსაზღვრული, ამასთანავე თბილისმა დაკარგა თავისი არქიტექტურული სახე და ხიზლი და „ჩვენ არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ამ პროექტების დამტკიცებაში და ქალაქის დამახინჯების პროცესში“.

რევაზ სოსხაძემ განაცხადა, რომ ოპონირება და კრიტიკა მისასალმებელია, თუმცა ის უნდა იყოს კვალიფიციური, ხოლო ამ შემთხვევაში მიუღებელია, რადგან წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კოეფიციენტი არის 2.5 და არა 4.6. ვახტანგ შაქარიშვილის მიერ ხსენებულ მიწის ნაკვეთების მონაცვლეობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიწის

ნაკვეთების მონაცვლეობა ხორციელდება შეფასების და არა კვადრატული მეტრების მიხედვით და შესაბამისად, არ არის მართებული იმაზე აპელირება, რომ მონაცვლეობა არასწორად განხორციელდა. რაც შეეხება წარმოდგენილ გრგ-ს, რევაზ სოხაძის თქმით, მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებს შორის, ის გამოირჩევა ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო გეგმარებით. ასევე, მიუღებელია საუბარი კომპანია „არქის“ უპირატესობებზე მაშინ, როდესაც ამ კომპანიის რამდენიმე გრგ-ს განხილვა ბიძღინარეობს წელიწადზე მეტია, ხოლო ბევრი სხვა კომპანიის პროექტებზე გადაწყვეტილების მიღება რამდენიმე თვეში მომხდარა. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ პრეფერენციებს არავინ იძლევა სასელის და გვარის მისხედვით, საკითხები განისხილება მათი სირთულიდან გამომდინარე. საუბრის ბოლოს შეეხო ქალაქის ურბანულ განვითარებას და აღნიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით, დღეს, ქალაქში, ურბანული და არქიტექტურული თვალსაზრით, უკეთესობაა და თუ დღევანდელ ხელისუფლებას ამ მიმართულებით უწევს რაიმე ბოლომდე არასწორი გადაწყვეტილების მიღება, ეს გამომდინარეობს იქიდან, რაც ათწლეულების განმავლობაში ხდებოდა დედაქალაქში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 4 (ვახტანგ შაქარიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ზაზა მამალაძე, ვაჟა ოთარაშვილი)
გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

38. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.17.947) სასწავლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ საპროექტო წინადადებით, დაგეგმილია სასწავლო კომპლექსის განაშენიანება, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რეკრეაციული სივრცეებით, ღია და დახურული სპორტული მოედნებით. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო სკოლა გათვალისწინებული იქნება მაქსიმუმ 1000 მოსწავლეზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ შაქარიშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

39. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.12.12.001.396; N01.12.12.001.397; N01.12.12.001.109; N01.12.12.001.110; N01.12.12.001.188; N01.12.12.001.189; N01.12.12.001.190; N01.12.12.001.203; N01.12.12.001.202) და მიმდებარე უფლება დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანება, სადაც განთავსდება ორი, 26 სართულიანი კომერციული-საოფისე შენობა, სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობა და ასევე, გათვალისწინებულია ორსართულიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

40. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ოქროყანას დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.270) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია მრავალბინიანი და მრავალფუნქციური შენობების განთავსება, ხოლო რეკრეაციულ სივრცეს დაეთმობა დაახლოებით 10000 კვ.მ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1 (ლევან დარახველიძე)

წინააღმდეგი - 4 (ვახტანგ შაქარიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ზაზა მამალაძე, ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

41. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6 და N6-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.167; N01.11.05.029.168; N01.11.05.029.212) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე, 2019 წელს, განხორციელდა კ-2 კოეფიციენტის მომატება და აქედან გამომდინარე, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, ფართის 10%, რაც შეადგენს 640 კვ.მ.-ს, გადაეცემა თვითმმართველს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

42. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტროკოდი: N81.21.03.030, N01.19.36.014.452, N81.21.03.024, N01.19.36.014.449, N81.21.03.027, N81.21.03.025, N81.21.03.029, N01.19.36.014.453, N01.19.36.014.454, N01.19.36.014.455, N01.19.36.014.456, N01.19.36.014.457, N01.19.36.014.525, N01.19.36.014.526, N81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9

ოქტომბრის N2151 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია ორი სექტორის გაერთიანება და ტერიტორიისთვის სრულად სარეკრეაციო ზონა 3-ის მინიჭება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

43. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N70-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.03.038.040) მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბერს N448 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი კორექტირებით 1600 კვ.მ.-თი იცვლება საპროექტო ტერიტორიის ფართობი, თუმცა, არსებული შენობა-ნაგებობა შეესაბამება დადგენილ პარამეტრებს და არ ხდება კოეფიციენტის გადამეტება. აღსანიშნავია, რომ შემოერთებული ტერიტორია განკუთვნილია პარკირებისთვის და მისი საშენებლო განვითარება არ მოხდება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

44. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ.N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი კორექტირება ეხება მე-2 სექტორს, სადაც განთავსდება სამი ინდივიდუალური სახლი, თუმცა აღსანიშნავია, რომ კ-1, კ-2 და კ-3 კოეფიციენტები რჩება უცვლელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1 (ვახტანგ შაქარიშვილი)

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

45. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალმა წევრმა, ლევან ჯაფარიძემ, სურვილი გამოთქვა გაწევრიანდეს სარევიზიო და გარემოს დაცვის კომისიებში, ზაზა მამალაძე ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიიდან გადადის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში, ხოლო ლევან ჟორჟოლიანი გარემოს დაცვის კომისიიდან გადადის ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 5 დადგენილება და 40 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის

პირველი მოადგილე

გიორგი ახვლედიანი